

მედიასტორიისა და დაღმნილი მოთხოვნები სამოქალაქო- სამართლებრივი ღვაწლის მედიაციის პროცესში

ანა გურიელი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის
დოქტორანტი, ადვოკატი

შესავალი

საქართველოში მედიაციის ინსტიტუტი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შემდგომში-სსსკ) განსაზღვრავს სავალდებულო სასამართლო მედიაციის საშუალებით განსახილველ დავებს, თუმცა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო მედია ნებისმიერ კერძოსამართლებრივ დავას განიხილავს.¹

როდის აქვს მედიაციის პროცესს აზრი? მაშინ, როდესაც იგი არ წარმოადგენს ფინანსური და დროის რესურსის კლიენტის ინტერესთა საწინააღმდეგოდ ფლანგვას; მიიღწევა მედიაციის, როგორც ინსტიტუტის, მიზნები; დაცულია ფუძემდებლური პრინციპები.

1 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ, 1873-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეზღუდულია სასამართლო მედიაციის კომპეტენცია და განსაზღვრულია, რომ სასამართლო მედიაციის ფარგლებში შესაძლებელია განიხილებოდეს საოჯახო სამართლიდან წარმოშობილი დავები, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა. სასამართლო მედიაცია უფლებამოსილია განიხილოს სამეზობლო და სამემკვიდრეო სამართლიდან წარმოშობილი დავა და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ნებისმიერი სხვა დავა.

დიდა იმ პროცესთა რაოდენობა, რომლებიც წარუმატებლად მთავრდება მხოლოდ იმიტომ, რომ პროცესზე არ არიან წარმოდგენილი შესაბამისი მონაწილე პირები.² ე.ი. შეთანხმების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, იმყოფებიან თუ არა მოლაპარაკების ოთახში საჭირო ადამიანები.³ თავად ცნება „მონაწილე“ ზოგადია და მოიცავს მედიატორს, მხარეებს, ასევე, ნებისმიერ პირს, რომლის დასწრებაც არის აუცილებელი რჩევისათვის, რაიმე წვლილის ან თუნდაც ფსიქოლოგიური მხარდაჭერისათვის.⁴ ყველა მონაწილის როლი მნიშვნელოვანია, თუმცა ვინაიდან მედიატორის წამყვანი მნიშვნელობა აღიარებულია, პროცესის ზემოხსენებული მიზნების განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული სწორედ მის პროფესიულ უნარ ჩვევებზე, ქმედებასა თუ პიროვნულ მახასიათებლებზე.⁵

ამის გათვალისწინებით, ნაშრომის მიზანია ქართულ სამართალში სამოქალაქო-სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში მედიატორთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, მათ მიმართ ვალდებულებათა, მოთხოვნათა დადგენა. შემუშავდება კანონმდებლობის სრულყოფის რეკომენდაციები.

მიზანი მიიღწევა კვლევის ანალიტიკური, ისტორიული, შედარებითსამართლებრივი მეთოდების გამოყენებით. გაანალიზდება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვნად მიჩნეული რეგულაციები.

I. მედიატორის ცოდნა და კომპეტენცია

რა ქმნის კარგ მედიატორს? ამ კითხვაზე შესაძლებელია იმდენი პასუხი არსებობდეს, რამდენიც მედიატორი.⁶ მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნები ძირითადად სუბიექტურია, ხოლო მათი შეფასება – რთული.⁷ და მაინც, არსებობს გარკვეული კრიტერიუმები.

ძირითადად ერთსულოვად თანხმდებიან იმაზე, რომ მხარემ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მედიატორის ცოდნისა და კვალიფიკაციის შესახებ. არის თუ არა იგი ექსპერტი განსახილველ საკითხთან მიმართებით.⁸ მედიატორს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ზოგადი ცოდნა და კომპეტენცია იმისათვის, რომ წარმართოს მედიაციის პროცესი; მედიაციის პროცესისათვის დადებითი შედეგების მომტანია, თუ მედიატორი ერკვევა დავის „ბუნებაში“.⁹ ამასთან, საკმარისია არა მხოლოდ ზოგადი ცოდნის ფლობა, არამედ სასურველია კონკრეტული საკითხის, მისი სამართლებრივი გადაწყვეტის სპეციფიკის გააზრება. პროცესი უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ შეთანხმება, რომელიც მიიღწევა, შეესაბამებოდეს არსებულ კანონმდებლობას. მხოლოდ მხარეთა თანხმობა არ უნდა მიიჩნეოდეს შეთანხმების მიღწევისა და აღსრულებისათვის ერთადერთ პირობად.

2 *Claiborne Z.*, 2013. Three Things to Know About Mediating Licensing Disputes, p. 1.

3 *Amend J.*, 2014. Implications For Mediation of Patent Infringement Suits From Investors In Patentees Case, Published by law.com, p. 1.

4 *Boulle L., Colatrella M., Picchioni A.*, 2008. Mediation Skills and Techniques, San Francisco, p. 27.

5 *Carbone M.*, 2004. Mediation Strategies: A Lawyer's Guide To Successful Negotiation, p. 1.

6 *Smith A., Smock D.*, 2008. Managing a Mediation Process, Printed in the United States of America, p. 22.

7 *Robinson M.*, 2007. Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; American Journal of Mediation, Vol. 2, p. 63.

8 *Ware S.*, 2003. Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, p. 313.

9 *Boulle L., Colatrella M., Picchioni A.*, 2008. Mediation Skills and Techniques, San Francisco, p. 27.

II მედიატორის პიროვნული უნარები

საქართველო

ზემოთ ნახსენებ კომპეტენციასთან თუ ცოდნასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენა არ არის საკმარისი. გასათვალისწინებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავდაპირველად უნდა გადაწყდეს, თუ როგორი სტილის მედიატორის არჩევა სურთ მხარეებს, „შეფასებითი“ თუ „ხელის შეშეწყობი“, ექნება მას მკაცრი თუ რბილი მიდგომა.¹⁰ მედიატორის შერჩევისას გასათვალისწინებელია, თუ რამდენად აქვს განვითარებული მას პიროვნული უნარები, მაგალითად: სიტუაციებისა და ალტერნატივების ანალიზის უნარი; ადამიანების დარწმუნების უნარი, აქტიური მოსმენის უნარი; ღია შეკითხვების დასმის საფუძველზე ინფორმაციის შეგროვების უნარი; ეფექტური მხარდაჭერის უნარი; უნარი იმისა, რომ შეეძლოს საკითხების წამოჭრა მედიდური ტონის გამოყენების გარეშე; შეეძლოს მორიგების სხვადასხვა სახის ვარიანტის განსაზღვრა; გააჩნდეს თანადროულად რამდენიმე სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების უნარი.¹¹ აქვე აღსანიშნავია, რომ ეფექტური კომუნიკაციის უნარი მედიატორის ფუნქციების წარმატებით განხორციელების საწინდარია. მისი გამოყენებით მედიატორი შეძლებს ჩაწვდეს დავის არსს და იმავდროულად მხარეთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას შეუწყოს ხელი.¹² გამოცდილ მედიატორებს გავლილი აქვთ არაერთი მოსამზადებელი კურსი მოლაპარაკების სტრატეგიაში.¹³ მედიატორი უნდა იყოს ერთგვარი მოდელი მხარეთათვის. იგი ადგენს საუბრის ტონს, თუ როგორ უნდა ისაუბრონ

და როგორ მოუსმინონ ერთმანეთს.¹⁴ ასევე უნდა გააჩნდეს უნარი, განასხვავოს მხარეთა პოზიციები და ინტერესები ერთმანეთისაგან.¹⁵

გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებული ამ ტიპის ინფორმაციის მოძიება, რომელსაც მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მედიატორის შერჩევისას, შესაძლებელია მედიატორისათვის პირდაპირი კითხვების დასმის გზით, ისევე როგორც იმ მხარეებისა და ადვოკატების გამოკითხვით, რომელთაც ადრე უსარგებლიათ ამ კონკრეტული მედიატორის მომსახურებით.¹⁶

III მედიატორის არჩევის უფლებას უთმობენ ოპონენტ მხარეს

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღესდღეობით პოპულარულია მიდგომა, რომლის თანახმადაც, მედიატორის არჩევის უფლება ეძლევა ოპონენტ მხარეს.¹⁷ გასათვალისწინებელია, რომ თუკი მედიატორის ვინაობას დაასახელებს ოპონენტი მხარე, კლიენტმა და ადვოკატმა სასურველია, მიიღონ ეს შეთავაზება იმ შემთხვევაში, თუკი სხვა ფაქტორების საფუძველზე არ არის აუცილებელი სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.¹⁸ ე.ი. თუკი ოპონენტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატი არ არის ცალსახად არაკომპეტენტური, არაკვალიფიციური და მიკერძოებული, მხარე უნდა დათანხმდეს ამ არჩევანს.¹⁹ მსგავსი ქმედება ხელს

10 Silverman P., 2008. The Clients Guide to Mediation and Arbitration, The Strategy for Winning, ABA publishing, Chicago, Illinois, p. 44.
 11 Beer J., Packard C., 2012. The Mediator's Handbook, Forth edition, Printed in Canada, p. 35.
 12 Cooley J., 2006. The Mediator's Handbook: Advanced Practice Guide for Civil Litigation, National Institute for Trial Advocacy (U.S.), p. 59 - 61.
 13 Berman L., 2009. 12 Ways to Make Mediator Work Hard, Published in Advocate Magazine, p. 1.

14 Domenici K., Littlejohn S., 2001. Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, Second edition, p. 36.
 15 Smith A., Smock D., 2008. Managing a Mediation Process, Printed in the United States of America, p. 11.
 16 Ware S., 2003. Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, p. 313.
 17 Berman L., 2003. Mediators' Opening Statements Offer Insights For Successful Results, Published in the „mediation strategies“ California's legal newspaper, p. 1.
 18 Mosten F., Representing Clients In Mediation Effectively Setting Up a Mediation, p. 3113.
 19 Mosten F., Representing Clients In Mediation Effectively

შეუწყობს მედიაციის მიზნების მიღწევას და იქნება პროცესის ძირითადი პრინციპების შესაბამისი; მხარე ამ გზით ადასტურებს საკუთარ მზაობას მორიგებისადმი.

IV მედიატორის მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ქმედებები

აუცილებელია განისაზღვროს იმ ქმედებათა ნუსხა, რომელთა განხორციელებაც მედიაციის პროცესში მიიჩნევა მედიატორის ვალდებულებად:

4.1. მედიატორის მიერ პროცესის მონაწილე პირთა წრის განსაზღვრა

მედიატორს უნდა შეეძლოს, განსაზღვროს შემდეგი საკითხი: ვინ იქნება მედიაციის პროცესის მონაწილე, მხარეთა და მათი ადვოკატების გარდა? მედიატორმა უნდა იცოდეს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს ის, თუ ვის შეუძლია წვლილი შეიტანოს კონფლიქტის გადაწყვეტაში. ეს არის სტრატეგიული და ამასთანავე პრაქტიკული საკითხი.²⁰ შესაძლებელია, მხარე განიცდიდეს იმის საჭიროებას, რომ პროცესს დაესწრონ პირები, რომელთაც შეუძლიათ რჩევების მიცემა. ამ პირებს შეიძლება გააჩნდეთ რაიმე სახის ინფორმაცია, შეეძლოთ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა ან ფლობდნენ შეთანხმების მიღწევის რესურსს.²¹

4.2. მხარეთათვის მედიაციის არსისა და მისი თანმდევი დადებითი შედეგების განმარტება

ერთ-ერთი ქმედება, რომელიც აგრეთვე უნდა განახორციელოს მედიატორმა, არის მხარეთათვის განმარტება, თუ რითი განსხვავდება მედიაცია ჩვეულებრივი მოლაპარაკებებისაგან.²² მხარეს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მედიაცია რეალურად არ არის ახალი ინსტიტუტი, ეს არის ფიქრის ახალი მიმართულება,²³ მოლაპარაკების ერთგვარი გაგრძელება,²⁴ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, როდესაც მხარეები მუშაობენ ერთობლივად იმისათვის, რათა მიიღონ ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება. შესაბამისად, ისინი უნდა იყვნენ მზად იმისთვის, რომ მოუსმინონ პროცესის სხვა მონაწილეთა აზრს.²⁵ მედიატორმა კლიენტი უნდა გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ იგი არ უნდა შეეცადოს პროცესის „მოგებას“ „²⁶ მხარემ აგრეთვე უნდა იცოდეს, რომ ამ პროცესში არავინ არ აპირებს იმის ფაქტობრივ გამოკვლევას, თუ ვინ არის მართალი და ვინ – არა;²⁷ როგორც ზემოთ აღინიშნა, მედიაცია თავისი არსით არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს იმ საკითხებს, რომლებიც ადამიანებისათვის არის მნიშვნელოვანი: ესენია ურთიერთობები, სამართლიანობის დამკვიდრება, ემოციები, ურთიერთპატივისცემა, ჩართულობა,

20 Boule L., Colatrella M., Picchioni A., 2008. Mediation Skills and Techniques, San Francisco, p. 27.
 21 Abramson H., 2010. Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, p. 241.

22 Golann D., 2009. Mediationg Legal Disputes Effective strategies for Neutrals and Advocates, Printed in the United States of America, p. 267.
 23 Erickson S., Mcknight M., 2001. The Practitioner’s Guide to Mediation A Client-Centered Approach, Printed in the united states of America, p. 3.
 24 Abramson H., 2010. Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, p. 309.
 25 Kovach K., 2004. Mediation Principles and Practice , Third edition, Printed in the United States of America, p. 154.
 26 Folberg G., 2011. Mediation The Roles of Advocate and Neutral, Second edition, Printed in the United States of America, p. 262.
 27 Kovach K., 2004. Mediation Principles and Practice , Third edition, Printed in the United States of America, p. 152.

პრობლემის გადაჭრა. ადამიანებს აქვთ საშუალება, გაუზიარონ ერთმანეთს გულისტკივილი, გამოთქვან აზრი, ისაუბრონ საკუთარი საჭიროებების შესახებ. მათ აგრეთვე შეუძლიათ, შეეხონ მათთვის საინტერესო ნებისმიერ თემას. არ არიან მებლუდულნი ამ თვალსაზრისით.²⁸

ამასთან, მედიატორმა მხარეებს უნდა განუმარტოს მედიაციის დადებითი შედეგები, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატება: **1.** მხარეთა კონტროლი პროცესის მიმდინარეობასა და მიღებულ გადაწყვეტილებაზე. **2.** ურთიერთობების შენარჩუნების მეტი ალბათობა. **3.** კრეატიული და ადაპტირებადი გადაწყვეტილების მიღების მიღწევადობა. **4.** პრობლემის შედარებით სწრაფი გადაწყვეტა. **5.** ნაკლები ხარჯები. **6.** სასამართლოს რესურსის დაზოგვა.²⁹ **6.** დავის პროცესი შესაძლოა იყოს გამანადგურებელი, ხოლო შეთანხმება - სწრაფი და უმტკივნეულო.³⁰

4.3 მხარეთათვის მედიაციის პროცესულური საკითხების განმარტება

მედიატორმა მხარეებს აგრეთვე უნდა აცნობოს მედიაციის პროცესის სტანდარტული მიმდინარეობის თაობაზე, კერძოდ, მხარემ უნდა იცოდეს, რომ: **1.** პირველ რიგში, ადამიანები გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებსა და ემოციებს, ხშირ შემთხვევებში ხმამაღლა. **2.** ისინი ერთმანეთს უზიარებენ და ნათელყოფენ ინფორმაციას. **3.** ემოციური დაძაბულობის მოხსნის შემთხვევაში გადასვლა ხდება პრობლემის გადაჭრის ეტაპზე. მხარეები საუბრობენ იმის შესახებ, თუ რისი შეცვლა სურთ, განიხილავენ მორიგების

შესაძლებლობებს, წყვეტენ საკითხებს. **4.** საბოლოოდ, ისინი ხელს აწერენ მიღებულ შეთანხმებას.³¹

ამასთან, მხარემ უნდა იცოდეს, თუ რა მოხდება მედიაციის პირველ შეხვედრაზე; განასხვავებდეს საერთო და დახურულ შეხვედრებს; იცოდეს მედიატორთა მიერ გამოყენებული ძირითადი ტექნიკა.

მხარეს უნდა განუმარტოს, რომ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე აქტიური ჩართვისაგან თავშეკავების შედეგი შესაძლებელია აღმოჩნდეს დაკარგული შესაძლებლობები; შესაძლებელია ამ ფაქტორმა ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე.³²

4.4. მხარეთათვის მედიაციის პროცესის მონაწილეთა როლის განმარტება

მედიაციის პროცესის დასაწყისში მედიატორმა მხარეებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პროცესის მონაწილეთა როლის შესახებ; მათ შორის თავად მედიატორის როლი უნდა განუმარტოთ შემდეგნაირად:

მედიატორი არის მომლაპარაკებელი. იგი არის პროცესის წამყვანი ფიგურა, რის გამოც ხშირად უწოდებენ „პროცესის მენეჯერებს“.³³ მისი როლი შეიძლება განიმარტოს, როგორც მოდავე მხარეების დამხმარე.³⁴ მედიატორი მხარეებს ეხმარება დავის გადაჭრაში. იგი არ ადგენს წესებს, არ გასცემს სამართლებრივ კონსულტაციას.³⁵

მედიატორს შეაქვს წვლილი იმის

28 Beer J., Packard C., 2012. The Mediator's Handbook, Forth edition, Printed in Canada, p. 5.
29 Boule L., Colatrella M., Picchioni A., 2008. Mediation Skills and Yechniques, San Francisco, p. 3.
30 Ware S., 2003. Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, p. 158.

31 Beer J. , Packard C., 2012. The Mediator's Handbook, Printed in Canada, Forth edition , p. 7.
32 Melnick J., 2013. Lost Opportunities in Mediation, Westlaw Journal Securities Litigation and Regulation, Vol. 13, Issue 4, p. 1.
33 Domenici K., Littlejohn S., 2001. Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, Second edition, Illinois, p. 33.
34 Moffitt M., 2008. The Four Ways to Assure Mediator Quality, p. 17.
35 Greenwood M., 2008. How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, p. 11.

გადაწყვეტაში, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას მედიაციაში, რა სახით ჩამოყალიბდება პროცესის გეგმა.³⁶ იგი არის მეთოდისტი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა ინფორმირებას და ხსნის პროცესს. აკეთებს ყველაფერს, რაც არის საჭირო იმისათვის, რათა მიაღწიონ შეთანხმებას. კონტაქტს ამყარებს მხარეებთან, ნიშნავს შეხვედრებს, ამზადებს მედიაციის სხდომებს. ის აგრეთვე განსაზღვრავს შეხვედრების დროს.³⁷

მედიატორი აწვდის მონაწილეებს ინფორმაციას კონფიდენციალურობის წესის დაცვის თაობაზე.³⁸ იგი ხსნის პროცესს კლიენტისათვის დავის არსის გამოკითხვით, თუმცა ამ საკითხის ნათელყოფა შესაძლებელია დასრულდეს მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე შეხვედრების დროსაც.³⁹ იმისათვის, რათა შედგეს ეფექტური მოლაპარაკება, მედიატორი წინასწარ შეისწავლის საქმის ისტორიასა და პრობლემის არსს.⁴⁰

მედიატორს ევალება ვითარების შემსუბუქება. მას არ შეუძლია მხარეთა იძულება ან პროცესზე უხეში ზეგავლენის მოხდენა. მედიატორმა, შესაძლებელია, იფიქროს, რომ მან იპოვა საკითხის შესაბამისი გადაწყვეტა, მაგრამ თუკი იგი ამ გადაწყვეტას მხარეებს თავს მოახვევს, ეს იქნება მედიატორისგან ეთიკის უხეში დარღვევა.⁴¹ მედიატორი ვერც იმ შემთხვევაში მოახდენს მხარის გადაწყვეტილებაზე გავლენას,

თუკი მას სურს პროცესის შეწყვეტა.⁴² მედიატორი ადგენს მხოლოდ იმას, თუ რომელი საკითხების ირგვლივ იქნება შესაძლებელი შეთანხმების მიღწევა, რომელი მათგანი მოგვარდება უფრო სწრაფად.⁴³ მხარეებს სთავაზობს არგუმენტირებულ, კომპრომისული ხასიათის შეთანხმებებს.⁴⁴

საკითხის შეჯერებისას დგინდება, რომ მედიატორის როლის განმარტება მედიაციის პროცესში შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: **1.** უზრუნველყოფს პროცესების მიმდინარეობას იმისათვის, რათა მოგვარდეს პრობლემა, შედგეს კომუნიკაცია მხარეთა შორის. **2.** ხელს უწყობს მხარეთა ურთიერთგაგებას. **3.** პროცესის მონაწილეებს აძლევს რჩევებს იმის თაობაზე, თუ როგორ გაზარდონ მოლაპარაკების ეფექტურობა. **4.** იკვლევს მხარეთა მოსაზრებებისა და პოზიციების დასაბუთებულობას. **5.** ეხმარება მხარეებს განსხვავებული ინტერესების აღქმაში, ცდილობს მტრობის, დაძაბულობის შემცირებას, ნდობის გაზრდას. **6.** ეხმარება მხარეებს პრობლემის მოგვარების გეგმის მომზადებაში.⁴⁵

ნათელია, რომ მედიატორის როლი არ შემოიფარგლება კონკრეტული უნარებისა და ხერხების ფლობით. მისი პიროვნება, ჰუმანურობა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც მისი როლის ნაწილია.⁴⁶

36 Jernigan M., Lord R., 2008. The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, p. 55.

37 Greenwood M., 2008. How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, p. 3.

38 Rubin M., Spector B., 2008. "Ethical Conundrums For the 21st Century Lawyer/Mediator „Toto I've got a Feeling We're Not in Kansas Any More“, American Journal of Mediation, Vol. 2, p. 82.

39 Jernigan M., Lord R., 2008. The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, p. 55.

40 Smith A., Smock D., 2008. Managing a Mediation Process, Printed in the United States of America, p. 10.

41 Greenwood M., 2008. How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, p. 12.

42 Greenwood M., 2008. How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America p. 13.

43 Stepp J., 2003. "How does the mediation process work? p. 4.
44 Riskin L., 1994. Alternatives to the High Cost of Litigation, Center for Public Resources, Vol. 12, issue 9, p. 112.

45 Jernigan M., Lord R., 2008. The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, p. 54.

46 Erickson S., Mcknight M., 2001. The Practitioner's Guide to Mediation A Client-Centered Approach, Printed in the United States of America, p. 60.

V. საზოგადოებრივი წრეებში მედიატორის იმიჯის მნიშვნელობა

სასურველია, მედიატორი იყოს პატივცემული საკუთარი კოლეგების მხრიდან; ამასთან სასურველია, გააჩნდეს არა მხოლოდ მედიაციის სფეროში მუშაობის გამოცდილება, არამედ სხვა ტიპის პროცესებშიც.⁴⁷ აღნიშნული პოზიცია განმარტებას საჭიროებს: მის მიმართ კოლეგებისა თუ გარეშე პირთა პატივისცემა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს გარემოება გაზრდის კლიენტთა მიერ მის ნდობას, რაც, შესაძლებელია, გახდეს პროცესის წარმატებით დასრულების, მართალია, არა ერთადერთი, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამასთან მისი სხვა პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება ხელს შეუწყობს მხარეთა ინფორმირებას იმის თაობაზე, თუ რა გზით განვითარდებოდა პროცესი იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატიულ ვარიანტზე შეაჩერებდნენ არჩევანს; ამავდროულად მხარეები იქნებიან დარწმუნებულნი, რომ პირს, რომელიც უძღვება პროცესს, გააჩნია მრავალმხრივი გამოცდილება, არასწორხაზოვანი აზროვნება და შეძლებს დავის სწორ შეფასებას.

VI. მედიატორთა სერტიფიცირება და პროვაიდერი კომპანიების ჩართულობა

ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური ხდება მედიატორთა სერტიფიცირების საკითხი. ACR (Association For Conflict Resolution) განსაზღვრავს მედიატორთა სერტიფიცირების რამდენიმე ძირითად

საფუძველს: ამ გზით გაკონტროლდება მედიატორთა ცოდნა; გაიზრდება კომპეტენცია; გაიზრდება მათი პროფესიონალიზმი; მეტ დადებით შედეგს მიიღებს კლიენტი; მათ დაიცავენ არაკომპეტენტური ან არაეთიკური მედიატორის ქმედებებისაგან; განიტვირთება სასამართლოც; მედიატორთა სანდოობის გაზრდის გზით განვითარდება მედიაციის ინსტიტუტი.⁴⁸

მედიაციის ინსტიტუტის განვითარება იმ დონემდე, რომ სავალდებულო გახდეს მედიატორთა სერტიფიცირება და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიეცეთ მათ საქმიანობის შესაძლებლობა, არ არის სპონტანური საკითხი; სერტიფიცირების დანერგვა რთული პროცესია, თუმცა კარგად განვითარებული პროგრამის შემუშავების შემთხვევაში დადებითი შედეგები გადაწონის სირთულეებს.⁴⁹

აქვე, მედიატორთა სერტიფიცირების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ NMI-მა, Det Norske Veritas ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავა მედიატორთა სერტიფიცირების სისტემა. განისაზღვრა სერტიფიცირების პირობები: შესაბამისი ტრენინგ-კურსის გავლა; ცოდნის შემოწმების მიზნით გამოცდის ჩაბარება; გამოცდაში სასურველი შეფასებების მიღება; ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის მედიაციის პროცესების ჩატარება; უწყვეტი პროფესიული განათლების მიღება; თანატოლებთან განხილვაში აქტივობა.⁵⁰

ბოლო დროს ასევე იკვეთება ტენდენცია, რომ მედიატორებს ირჩევენ პროვაიდერი კომპანიების საშუალებით. მაგალითად, სამხრეთ კალიფორნიაში ფუნქციონირებს ორი ძირითადი ნაციონალური პროვაიდერი. ესენია: AAA და JAMS, ასევე სამი კარგად ცნობილი რეგიონული პროვაიდერი: ADR Services, ARC და Judicate West.⁵¹

47 Jernigan M., Lord R., 2008. The Mediators Role In The Family Business, American Journal of Mediation, Vol. 2, p. 54.

48 Robinzon M., 2007. Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; , American Journal of Mediation, Vol. 2, p. 52.
49 Robinzon M., 2007. Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; , American Journal of Mediation, Vol. 2, p. 62.
50 Pel M., 2008. Referral to Mediation A Practical Guide For An Effective Mediation Proposal, The Hague, p. 133.
51 Berman L., 2012. Mediations's Evolution in Social: Where It Has Been and Where It Is Going, Published in Advocate

VII. მედიატორთა პერიოდული შეფასება

არსებობს მოსაზრება, რომელის მიხედვითაც სასურველია მედიატორთა პერიოდული შეფასება. განსაზღვრულია შეფასების გარკვეული კრიტერიუმები, რომელთაგან აღსანიშნავია: მედიატორის სამუშაო და სწავლისათვის განსაზღვრული საათების კალკულაცია; მათთვის გარკვეული ინტენსიობით გამოცდების ჩატარება; დაკვირვება საქმიანობის განხორციელებისას.⁵²

დასკვნა:

- საქართველოში აუცილებელია მედიატორის საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება. საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს მათ მიმართ წარდგენილი მოთხოვნები, სამოქმედო პრინციპები, განსახორციელებელი ქმედებები და ნორმების დარღვევის შემთხვევაში მათი პასუხისმგებლობის საკითხი.
- მედიატორის შერჩევისას გასათვალისწინებელია მისი ცოდნა, სამართლებრივი კომპეტენცია. სამართლებრივი კომპეტენციის არსებობის გარეშე მედიატორმა არ უნდა აიღოს პროცესის წარმართვის პასუხისმგებლობა. ასეთი გადაწყვეტის მიზანია ის, რომ შეთანხმება, რომელიც მიიღწევა, სრულად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ კანონმდებლობას.
- ცოდნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მედიატორის ეთიკა, უნარები თუ თვისებები. მედიატორი ეფუძნება ეთიკას, პროცესის ფუძემდებლური პრინციპების დაცვა არის თითოეული პროცესის წარმატების საფუძველი.

- სასურველია, თითოეულმა მხარემ გააცნობიეროს, რომ მეორე მხარისათვის მედიატორის არჩევის პრივილეგიის დათმობა არის მედიაციის მიზნების შესაბამისი ქმედება.
- მედიატორმა სწორად უნდა განსაზღვროს პროცესის მონაწილე პირთა ვინაობა.
- მედიატორმა მხარეებს უნდა განუმარტოს, თუ რითი განსხვავდება მედიატორი ჩვეულებრივი მოლაპარაკებებისაგან.
- მედიატორმა მხარეებს უნდა განუმარტოს მედიაციის პროცესის დადებითი მხარეები.
- მედიატორმა მხარეს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პროცესის თითოეული მონაწილის როლის თაობაზე.
- აუცილებელია მედიატორმა მხარეებს განუმარტოს მედიაციის პროცესუალური საკითხები.
- მედიაციის, როგორც ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად, აუცილებელია დღის წესრიგში დადგეს მედიატორთა სავალდებულო სერტიფიცირების საკითხი.
- სერტიფიცირების შემდგომაც, სასურველია, შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა შეაფასონ ისინი.

Magazine, p. 4.

52 Robinzon M., 2007. Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; , American Journal of Mediation, Vol. 2, p. 64-67.

THE DEMANDS TOWARDS THE MEDIATOR IN THE MEDIATION PROCESS OF THE CIVIL DISPUTES

Ana Gurieli

*PhD Candidate of the New Vision University,
Faculty of law, Lawyer*

RESUME

- It is highly recommended, that the obligations of the mediator should be regulated by the law. The legislation shall consider the demands towards the mediators, regulate the principles they have to follow and the results of violation of the rules, should also be considered.
- In the process of the choice of the mediator, his/her competence and legal knowledge must be considered. Otherwise, the mediator should avoid the responsibility. The agreement must meet the requirements stipulated by the law.
- It is also important not to violate professional ethics, to have suitable abilities and characteristics. Mediation is based on ethics, following the principles of the process, it is a key to success.
- It is desirable for parties, to be aware of the fact that, letting another party to choose the mediator, is an action in line with the principles of mediation.
- The mediator should be able to determine the participants of the process.
- The mediator should inform parties about the difference between the process of mediation and negotiations.

- The mediator should inform parties about the positive results of choosing mediation.
- The mediator should inform parties about the role of each participant of the process.
- The mediator should inform parties about the procedural issues of the mediation.
- In order to develop mediation, as an institution, mandatory certification for mediators shall be implemented.
- After the certification, the proper, competent organization should evaluate their work.

NOTES:

1. *Claiborne Z.*, 2013. Three Things to Know About Mediating Licensing Disputes, p. 1. (ENG)
2. *Amend J.*, 2014. Implications For Mediation of Patent Infringement Suits From Investors In Patentees Case, Published by law.com, p. 1. (ENG)
3. *Boulle L., Colatrella M., Picchioni A.*, 2008. Mediation Skills and Techniques, San Francisco, p. 27. (ENG)
4. *Carbone M.*, 2004. Mediation Strategies:A Lawyer’s Guide To Successful Negotiation, p. 1. (ENG)
5. *Smith A., Smock D.*, 2008. Managing a Mediation Process,Printed in the United States of America, p. 22. (ENG)
6. *Robinson M.*, 2007. Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; , American Journal of Mediation, Vol. 2, p. 63. (ENG)
7. *Ware S.*, 2003. Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, p. 313. (ENG)
8. *Boulle L., Colatrella M., Picchioni A.*, 2008. Mediation Skills and Techniques, San Francisco, p. 27. (ENG)
9. *Silverman P.*, 2008. The Clients Guide to Mediation and Arbitration,The Strategy for Winning, ABA publishing, Chicago, Illinois, p. 44. (ENG)
10. *Beer J., Packard C.*, 2012. The Mediator’s Handbook, Forth edition, Printed in Canada, p. 35. (ENG)
11. *Cooley J.*, 2006. The Mediator’s Handbook: Advanced Practice Guide for Civil Litigation, National Institute for Trial Advocacy (U.S.), p. 59 - 61. (ENG)
12. *Berman L.*, 2009. 12 Ways to Make Mediator Work Hard, Published in Advocate Magazine, p. 1. (ENG)
13. *Domenici K., Littlejohn S.*, 2001. Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, Second edition, p. 36. (ENG)
14. *Smith A.*, 2008. *Smock D.*, Managing a Mediation Process, Printed in the united states of America, p. 11. (ENG)

15. *Ware S.*, 2003. Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the united states of America, p. 313. (ENG)
16. *Berman L.*, 2003. Mediators' Opening Statements Offer Insights For Successful Results, Published in the „mediation strategies“ California's legal newspaper, p. 1. (ENG)
17. *Mosten F.*, Representing Clients In Mediation Effectively Setting Up a Mediation, p. 3113. (ENG)
18. *Mosten F.*, Representing Clients In Mediation Effectively Setting Up a Mediation, p. 3023. (ENG)
19. *Boullé L., Colatrella M., Picchioni A.*, 2008. Mediation Skills and Techniques, San Francisco, p. 27. (ENG)
20. *Abramson H.*, 2010. Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, p. 241. (ENG)
21. *Golann D.*, 2009. Mediating Legal Disputes Effective strategies for Neutrals and Advocates, Printed in the United States of America, p. 267. (ENG)
22. *Erickson S., Mcknight M.*, 2001. The Practitioner's Guide to Mediation A Client-Centered Approach, Printed in the united states of America, p. 3. (ENG)
23. *Abramson H.*, 2010. Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, Second edition, Printed in the United States of America, p. 309. (ENG)
24. *Kovach K.*, 2004. Mediation Principles and Practice , Third edition, Printed in the United States of America, p. 154. (ENG)
25. *Folberg G.*, 2011. Mediation The Roles of Advocate and Neutral, Second edition, Printed in the United States of America, p. 262. (ENG)
26. *Kovach K.*, 2004. Mediation Principles and Practice , Third edition, Printed in the United States of America, p. 152. (ENG)
27. *Beer J., Packard C.*, 2012. The Mediator's Handbook, Forth edition, Printed in Canada, p. 5. (ENG)
28. *Boullé L., Colatrella M., Picchioni A.*, 2008. Mediation Skills and Yechniques, San Francisco, p. 3. (ENG)
29. *Ware S.*, 2003. Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, p. 158. (ENG)
30. *Beer J., Packard C.*, 2012. The Mediator's Handbook, Printed in Canada, Forth edition, p. 7. (ENG)
31. *Melnick J.*, 2013. Lost Opportunities in Mediation, Westlaw Journal Securities Litigation and Regulation, Vol. 13, Issue 4, p. 1. (ENG)
32. *Domenici K., Littlejohn S.*, 2001. Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, Second edition, Illinois, p. 33. (ENG)
33. *Moffitt M.*, 2008. The Four Ways to Assure Mediator Quality, p. 17. (ENG)
34. *Greenwood M.*, 2008. How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, p. 11. (ENG)
35. *Jernigan M., Lord R.*, 2008. The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, p. 55. (ENG)

36. *Greenwood M.*, 2008. How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, p. 3. (ENG)
37. *Rubin M., Spector B.*, 2008. "Ethical Conundrums For the 21st Century Lawyer/Mediator „Toto I've got a Feeling We're Not in Kansas Any More“, American Journal of Mediation, Vol. 2, p. 82. (ENG)
38. *Jernigan M., Lord R.*, 2008. The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, p. 55. (ENG)
39. *Smith A., Smock D.*, 2008. Managing a Mediation Process, Printed in the United States of America, p. 10. (ENG)
40. *Greenwood M.*, 2008. How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, p. 12. (ENG)
41. *Greenwood M.*, 2008. How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, p. 13. (ENG)
42. *Stepp J.*, 2003. „How does the mediation process work? p. 4. (ENG)
43. *Riskin L.*, 1994. Alternatives to the High Cost of Litigation, Center for Public Resources, Vol. 12, issue 9, p. 112. (ENG)
44. *Jernigan M. , Lord R.*, 2008. The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, p. 54. (ENG)
45. *Erickson S., Mcknight M.*, 2001. The Practitioner's Guide to Mediation A Client-Centered Approach, Printed in the United States of America, p. 60. (ENG)
46. *Jernigan M., Lord R.*, 2008. The Mediators Role In The Family Business, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, p. 54. (ENG)
47. *Robinson M.*, 2007. Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; , American Journal of Mediation, Vol. 2, p. 52. (ENG)
48. *Robinson M.*, 2007. Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; , American Journal of Mediation, Vol. 2, p. 62. (ENG)
49. *Pel M.*, 2008. Referral to Mediation A Practical Guide For An Effective Mediation Proposal, The Hague, p. 133. (ENG)
50. *Berman L.*, 2012. Mediations's Evolution in Social: Where It Has Been and Where It Is Going, Published in Advocate Magazine, p. 4. (ENG)
51. *Robinson M.*, 2007. Mediator certification: realizing its potentials and coping with its limitations; American Journal of Mediation, Vol. 2, p. 64-67. (ENG)